პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 აგვისტო პარასკევი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 177 (14477)

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲛᲘᲝᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲨᲔᲮᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

დღანან რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, საქართველოს სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები წარმატებით ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

საწარმოთა მთელმა რიგმა კოლექტივებმა გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1969 წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ჟიათურის მანგანუმის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს კოლექტივს მიენიჭა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს კოლეგიამ და მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მეორე ფულადი პრემია მიანიჭა რუსთავის ამწეაწყენებელი ქარხნის კოლექტივს. (საქდესი).

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲜᲒᲕᲘᲜᲘᲢᲘᲙᲐ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐᲯᲔᲡᲢᲣᲚᲘ

მცხეთელებმა შეასრულეს მარცვლეულის, კვერცხისა და აბრეშუმის პარკის დამზადების ხუთწლიანი გეგმა

საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კავთიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლაშხმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით ასრულებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

მცხეთელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის დამზადების ხუთწლიანი გეგმა. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, კვერცხისა — 106 პროცენტით, ხოლო აბრეშუმის პარკისა — 100,1 პროცენტით.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ძალისის ლენინის სახელობის, საგურამოს, მუხრანის კოლმეურნეობებმა, ნატახტარის მერძევეობა-მეგოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ. მარცვლეულის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

□ □

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ტვირთბრუნვის 7 თვის დავალება. დეპოელებმა ნორმასთან შედარებით ავადმყოფი ელმავლების ოდენობა 1,8 პროცენტით შეამცირეს, ხოლო ორთქლმავლებისა — 2,9 პროცენტით, ამასთან ტექნიკური სიჩქარე საათში 0,9 კილომეტრით გაზარდეს.

ᲛᲔᲛᲐᲜᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲐ. ᲒᲘᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ 91 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲛᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲦᲔᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲰᲧᲘᲚᲘ 2.500 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 2.000 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲫᲔᲜᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲒᲕᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ Გ. ᲚᲣᲗᲙᲘᲫᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲒᲕᲔᲜᲐᲖᲔ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲚᲘ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲣᲗᲙᲘᲫᲔ - ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ.

ᲩᲥᲐᲠᲘ ᲪᲔᲛᲞᲘᲗ, ᲠᲘᲪᲮᲕᲣᲚᲐᲓ

ᲔᲠᲗᲘ თვე გავიდა, რაც განახევრდა მიმდინარე წლის კალენდრის ფურცლები. რამდენი რამ ახალი ჩაიწერა ამ განვლილ დღეთა ისტორიაში, რამდენი მშენებლობა, სიახლე, გამოგონება, გმირული შრომა, სიმამაცე, სიუხვე, ადამიანისათვის ზრუნვა გამოვლინდა იმ ნახევარ წელიწადში. ეს იყო ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების განუხრელი ალმავლობის ძლევამოსილი ნაბიჯები. ეს იყო ლენინური შრომისა და მოღვაწეობის ხელოვნებისა, დამკვრელური დღეები.

დიახ, გავიდა ნახევარი წელი, და კიდევ ერთხელ, როგორც კარგ სარკეში, ისე ნათლად გამოჩნდა ჩვენი ქვეყნის მარად ცოცხალი და ძლევამოსილი ჯერ ცენტრალურად შემდეგ საქართველოს სსრ სტატისტიკური ცნობებში, რომლებიც ეს-ეს არის გაზეთებმა გამოაქვეყნეს.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობის გამოქვეყნების გამო მოწინავე სტატიაში გაზეთი „პრავდა“ წერდა: „...ჩვენი ეკონომიკა ხუთწლედის მეოთხე წელსაც ფრენაში ტემპით ვითარდება. მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა... კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარგად განახორციელეს მინდვრის სამუშაოები და ახლა დაიწყეს მოსავლის აღება, საკვების დამზადება... გაითვალა მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოებაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი... მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ ფეხს იკიდებს შრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ლენინის იუბილეს აღსანიშნავად“.

სახალხო მეურნეობის სიმძლავრე, მისი რიტმული გულისფეთქვა — მრეწველობაა. საქართველოში ეს არის ელექტროენერგეტიკა, ქიმია, მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და საშენ მასალათა წარმოება, მსუბუქი და კვების ძლავრი ობიექტები.

რით შეეგებნენ ისინი მიმდინარე წლის მეორე ნახევარს?

ციფრების ენით რომ ვთქვათ — საქართველოს მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით. 1968 წლის პირველ ნახევართან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 6 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 7 პროცენტით.

წლის პირველ ნახევარში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 645 სამრეწველო საწარმო. მათ გამოუშვეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 76 პროცენტი და სახელმწიფოს მისცეს დიდი მოგება. ამ საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა.

მთელ საქართველოში წელს პირველები ამინდები იყო. მაგრამ ვერც გრიგალმა, ვერც ხშირმა წვიმებმა, წყალდიდობამ, სეტყვამ და ყვალვამ ვერ შეაოკა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალა და ენერგია — დროზე და ხარისხოვნად შესრულდა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები და ახლა გაჩაღებულია მოსავლის აღება, პირუტყვისათვის საკვების დამზადება.

დღითიდღე მტკიცდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კვლავ ციფრების ენით რომ ვილაპარაკოთ, ჯანვლილ ექვს თვეში სოფლის მეურნეობამ მიიღო 1.378 ტრაქტორი, 842 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 16 მარცვლასალები კომბაინი და ასობით კიდევ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ქიმიკოსებმა ამ ჩვენს მიწათმოქმედებს გაუგზავნეს 214 ათასი ტონა სასუქი.

ყოველივე ეს დაეხმარა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ წელს ნათესი ფართობები საგრძნობლად გაედიდებინათ, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურებისა. თვალსაჩინოდ იმატა ხეხილის ბაღების, ვენახების, ჩაისა და დაფნის პლანტაციების ფართობებმა, პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ. კარგი პირი უჩანს მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს.

მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებს თან სდევს მშრომელთა ყოფაცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო-თვიური ფულადი ხელფასი გადიდდა 4 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კი — 6 პროცენტით.

სახელმწიფო სახსრებით და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების თანხებით წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 190 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალმოსახლეობა უკვე იზეიმა მშრომელთა ათასობით ოჯახმა. წელს მრავალი ათასი მოსწავლე და სკოლამდელი ბავშვი შეაღწევს ახალი სკოლისა და საბავშვო ბაღის კარებს, მრავალი მშრომელი ნაყოფიერად დაისვენებს და გაერთობა ახალაშენებულ კულტურის სახლებში, კლუბებში, ცოდნას გამდიდრებს ბიბლიოთეკებსა და საკითხველოებში. ბევრი რამ ახალი და საინტერესო შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

ციფრები უტყუარი სარკეა. იქ ოდნავი ჩრდილიც კი შეუმჩნეველი არ დარჩება. როცა ვკითხულობთ ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობას, შეუძლებელია თვალში არ გეცეს ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმო სუსტად იყენებს რეზერვებს. ამის შედეგიც არის, რომ ვერ შესრულდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, სინთეზური ამოაკის, მინერალური სასუქების, კაპროლაქტამის, ქიმიური ბოჭკოს, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამაგისტრალო ელმავლების, ცემენტის, შიფერის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, წინდების და ზოგიერთი სხვა პროდუქტის წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

ახლა მთავარია საფუძვლიანად გავუკეთოთ ანალიზი ჩამორჩენის მიზეზებს, გამოვავლინოთ წარმოების ყველა რეზერვი, წარმოებაში ფართოდ დანერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და უზრუნველვყოთ წლიური გეგმის შესრულება.

მაღალი ტემპი, ზუსტი საწარმო რიტმი — აი რა არის ახლა აუცილებელი. მაგრამ ყველაფერი ეს კარგი საათის მექანიზმივით უტყუარი რომ იყოს, ამისათვის საჭიროა შეუფერხებლად მოვამარაგოთ საწარმოები და მშენებლობები ნედლეულით, მასალებით, მოკომპლექტებელი ნაწარმით.

ეს, ცხადია, მოითხოვს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციათა საქმიანობის გაუმჯობესებას, მის მაღალ დონეს. უნდა გაძლიერდეს საწარმოთა ურთიერთპასუხისმგებლობა სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებისათვის, ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ ამ დარგში სახელმწიფო დისციპლინა.

როგორც ყოველთვის, ამ დიდ ამოცანათა სწორად და დროულად შესრულებისათვის გადამწყვეტია პარტიული კომიტეტების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა. ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთდეს საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, უნდა დაისახოს იმის კონკრეტული ამოცანები და გზები, თუ როგორ ჩავაყენოთ ახალი რეზერვები წარმოების სამსახურში.

რიტმულად, ჩქარი ტემპით, ხუთწლედი ვადამდე! — საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ეს დევიზი ყველა საწარმოს, ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მუშაკთა სამრეწველო ბრძოლის დროშა უნდა იყოს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი მეცნიერების ლენინური დღეებისათვის მზადების შესახებ. ეს დღეები მოსკოვში გაიმართება. 4 დღის განმავლობაში — მიმდინარე წლის 16-19 სექტემბერს ჩვენი რესპუბლიკა სამშობლოს უპატაკებს, თუ რა წვლილი შეაქვთ ქართველ მეცნიერებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის საგანძურში, რა წარმატებანი აქვთ მეცნიერული ინტელიგენციის კადრების მომზადებაში.

მოსკოველები გაეცნობიან ქართული მეცნიერების მიღწევებს ცოდნის ყველა დარგში და, კერძოდ, იმ დარგებში, რომლებიც განსაკუთრებით განვითარდა ჩვენს რესპუბლიკაში, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკა, მექანიკა, ფიზიკა, გეოლოგია, ასტრონომია და გეოფიზიკა, ფიზიოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება და სხვ.

ქართული მეცნიერული სკოლები, რომლებიც ამ დარგებში მუშაობენ, ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ფართოდ იქნება ნაჩვენები აგრეთვე მეცნიერების იმ უახლესი დარგების მიღწევები, რომლებიც სწრაფად ვითარდება საქართველოში ამ ბოლო დროს. ასეთია გამოყენებითი და გამოთვლითი მათემატიკა, კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა, ტელემექანიკა, რადიოტექნიკა და სხვ.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდეს სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა, არის 200-მდე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია. ორი ათასზე მეტი მეცნიერი ამუშავებს მეცნიერულ პრობლემებს უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოში 600-ზე მეტი მეცნიერების დოქტორი და 4.000-მდე მეცნიერების კანდიდატია.

ქართული მეცნიერების შტაბი — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია აერთიანებს 38 სამეცნიერო დაწესებულებას, სადაც მუშაობს სამი ათასამდე მეცნიერი მუშაკი, აქედან 50 აკადემიკოსი და მეცნიერებათა აკადემიის 55 წევრ-კორესპონდენტი, 200-ზე მეტი მეცნიერების დოქტორი. ბევრი ქართველი მეცნიერი არჩეულია საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციათა საპატიო წევრებად.

ქართული მეცნიერების ლენინურ დღეებთან დაკავშირებული ზეიმი გაიმართება მოსკოვში — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ცენტრალურ ლექტორიუმში, საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში, აგრეთვე მოსკოვის ჟერტინსკისა და ბაბუშკინის რაიონების საწარმოებსა და დაწესებულებებში. დედაქალაქში მოეწყობა წიგნის დიდი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც რესპუბლიკაში გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე, გამოჩენილ მეცნიერთა ნაშრომები, მათ შორის საზღვარგარეთ გამოცემული ნაშრომები. გაიხსნება აგრეთვე ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს ქართული მეცნიერების მიღწევებს ნახევარი საუკუნის მანძილზე. მოსკოვის კინოთეატრებსა და კლუბებში უჩვენებენ სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტურ ფილმებს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე. მოსკოვის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში კონცერტებს გამართავენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ხელოვნების ოსტატები.

ქართველი მეცნიერების ლენინური დღეები, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერების დღეები ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში კვლავ მკაფიოდ დაადასტურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას. ისინი ცხადყოფენ, ქართული მეცნიერების მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

იმისათვის, რომ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო კადრებს სისტემატურად გაეცნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოღებულია „ინფორმაციის დღე“.

30 ივლისს გამართული „ინფორმაციის დღე“ შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ამხ. მჟავანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრების, აქტივის, ყველა ფშაომელის სისტემატურ ინფორმირებას შინაპარტიული, პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

— ჩვენი პარტია, — თქვა ამხ. მჟავანაძემ, — განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის სწორად დაყენებასა და ორგანიზაციას, მიაჩნია იგი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა რგოლისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მშრომელებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, მასებთან პარტიის ურთიერთობის განმტკიცების ქმედით საშუალებად. ამოცანა ის არის, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ გამოიყენონ ინფორმაცია თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ბ. კაციტაძემ და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა ნ. დ. პესკოვმა.

შემდეგ შეკრებილებმა მოისმინეს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორის ვ. ა. კუვშინოვის გამოსვლა, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგებსა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს.

„ინფორმაციის დღე“ ყოველთვიურად გაიმართება. (საქდესი).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲙᲨᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ბ. პონომარიოვმა მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი ლაოსის პატრიოტული ფრონტის დელეგაცია ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრის ტიაო სუკ ვონგსაკის მეთაურობით.

დელეგაციამ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის თავროობასა და საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ ყოველნაირად უჭერენ მხარს ლაოსელ ხალხის სამართლიან ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ. დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღითიდღე იზრდება ლაოსისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ძმური მეგობრობა, რაც ალფრთოვანებს ლაოსელ პატრიოტებს ბრძოლისათვის, უნერგავს თავიანთი სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას.

საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, თავიანთი ინტერნაციონალური საქმის ერთგულნი, მტკიცედ ეხმარებიან სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლაოსელ პატრიოტებს და მხარს უჭერენ ლაოსის პატრიოტული ფრონტის პოლიტიკური პროგრამის სამართლიან მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესია ლაოსის წინააღმდეგ და განუხრელად დაიცვან ჟენევის 1962 წლის შეთანხმებანი, რომლებიც გონივრული საფუძველია ლაოსის პრობლემის მოწესრიგებისათვის.

Ვ. Პ. ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 31 ივლისს გაიმართა იტალიის კომპარტიის დელეგაციის შეხვედრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. ვ. პ. მჟავანაძესთან.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე გულთბილად მიესალმა დელეგაციის წევრებს იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილის, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის პინო ლა ტორეს მეთაურობით.

გულახდილი მეგობრული საუბრის დროს ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ სტუმრებს გააცნო საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა და კულტურა, დაწვრილებით უამბო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, რომელიც თავის საქმიანობაში ეკონომიკის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ეყრდნობა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უამბო რესპუბლიკის მრავალდარგიან სოფლის მეურნეობაზე, საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაზე.

თანამოსაუბრენი შეეხნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებს, აღნიშნეს, რომ მტკიცდება მომძე კომუნისტური პარტიების ურთიერთობა.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წარმატებანი უსურვა იტალიის კომპარტიას მის საქმიანობაში, დელეგაციის წევრებს კი სასიამოვნო და სასარგებლო ყოფნა საქართველოში.

დელეგაციის სახელით გულითადი შეხვედრისათვის მადლობა გადაიხადა ამხ. პინო ლა ტორემ.

შეხვედრაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

იტალიის კომპარტიის დელეგაციამ, რომელიც თბილისში 30 ივლისს ჩამოვიდა, დათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, საქართველოს სელოვნების მუზეუმში. დღეს, 1 აგვისტოს იტალიელი სტუმრები გაემგზავრებიან დასავლეთ საქართველოს რაიონებში. (საქდესი).

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲢᲝᲜᲝᲑᲘᲗ)

რაიონები	წლიური გეგმა	შესრულება
აფხაზეთის ასსრ	6.177	570
აჭარის ასსრ	1.291	198
სამხრეთ ოსეთის აფმ. ოლქი	3.794	14
გარდაბნის რაიონი	29.727	7.771
წყალტუბოს	14.100	2.155
გორის	9.439	130
მარნეულის	9.370	929
სამგორეციის	9.300	1.806
მცხეთის	5.700	47
ქასპის	5.220	0
სიღნაღის	2.650	678
ახალციხის	2.636	0
ლაგოდეხის	2.600	2.743
ქარელის	2.450	16
ხაშურის	2.366	64
ბოლნისის	2.010	89
წალკის	1.791	0
საგარეჯოს	1.500	14
წულუკიძის	1.400	384
თარჯოლის	1.400	0
ადიგენის	1.299	0
ბურჯაანის	1.258	266
თეთრი წყაროს	1.230	0
ვანის	1.000	29
ახალქალაქის	980	0

პროდაქციისაბან: ამ ცხრილში ნაჩვენებია ის რაიონები, რომელსაც დიდი ხვედრითი წონა აქვთ ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგებაში და ბოსტნეულის დამზადების რესპუბლიკური გეგმის შესრულებაში. წელს სულ გეგმით უნდა დამზადდეს 125.000 ტონა ბოსტნეული. აღნიშნული რიცხვისათვის დამზადებული იყო 18.389 ტონა.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა უზრუნველყოფას ბოსტნეულით წლის ყოველ დროს. ბოსტნეულს კვების ულუფაში ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი ადგილი უჭირავს. ამიტომ ეთმობა დიდი ყურადღება მისი წარმოების გადიდებისა და დამზადების საკითხებს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება ბოსტნეულით. შემჩნეულია მრავალი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ბოსტნეულს დიდი რაოდენობით აწარმოებს. ამას ემატება კოლმეურნეობების მიერ წარმოებული ათასობით ტონა ბოსტნეული. სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება თბილისისა და რუსთავის, რესპუბლიკის სამრეწველო ქალაქებისა და კურორტების, მთელი მოსახლეობის ბოსტნეულით უზრუნველყოფისათვის. კარგად იმუშავეს ლაგოდეხელებმა, რომლებმაც ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ეს მისაბაძი მაგალითია.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ამ საქმეში, ბევრი რამ არის გასაკეთებელი დასახული ამოცანის შესრულებისათვის. ახლა, როცა ბოსტნეულის დამზადების გაშლილი სეზონია, სამწუხაროდ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბოსტნეულის დამზადება. ეს ნათლად ჩანს ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან.

აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, ბოსტნეულის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ ბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულებისათვის. მათ ხელიდან არ უნდა გაუშვან ამ საქმისათვის საუკეთესო პერიოდი.

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲕᲘᲡ Გ

ПАРТИЈУЛИ ЦХОВРЕБА

ПАРТРИОТУЛ ТРАДИЦИЕБЗЕ

△ ფოთელთა და ბიათურელთა რევოლუციური მებრძოლობის ტრადიციები.

△ დიდების მონუმენტი — საზოგადოებრივ საყვარელ-ბზე

△ მამების საბრძოლო ორდენი

△ ყველა თაობის წარმომადგენელთა შეკრება

ახალგაზრდობის აღზრდა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მუდამ იყო და არის ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უპირველესი ზრუნვის საგანი. მაგრამ ამ მუშაობამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბი და სისტემატური ხასიათი მიიღო გასული წლის აპრილიდან, როცა ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა აქტივმა, რომელმაც შეჯამა ამ დარგში გაწეული მუშაობა, დასახა შემდგომი საქმიანობის ფართო ღონისძიებანი. აქტივის კრებამ იკისრა კოპკრეტული ვალდებულებანი, მოუწოდა ქალაქის ორგანიზაციებს შრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ და ოციოდ ინსტრუქტორ შეკიბრებაში გამოიწვია ქალაქ ბიათურის მშრომელები, რომლებმა 100 წლის იუბილესათვის მზადებას მიეძღვნა.

რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციების მუზეუმი, რომელიც ნავსადგურის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან არის შექმნილი, ახალგაზრდობის აღზრდის მნიშვნელოვან კერად იქცა.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა კარგად არის დაყენებული წისქვილკომბინატში, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში. ამას წინათ ორჯონიკიძის სახელობის გემშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა სამი თაობის ლენინელთა შეკრება. ორჯონიკიძელები სამხედრო მეზღვაურებთან საშეფო მუშაობას კარგად უკავშირებენ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეს. ქარხნის მეოთხე საამქროს კომკავშირულმა ორგანიზაციამ მეზღვაურთა საშეფო ნაწილის შემადგენლობასთან ერთად მოაწყო საბჭოთა პოეზიის საღამო. გაიმართა აგრეთვე დისპუტი თემაზე „ჩვენ კომუნიზმის გზით მივდივართ“. მე-10 საამქროს კომკავშირელებმა მეზღვაურებთან ერთად ქარხნის ტერიტორიაზე გაუშვეს მეგობრობის ბალი. აღსანიშნავია, რომ ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ სამხედრო-პატრიოტულ და საშეფო მუშაობაში.

ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის ქალაქის საშუალო სკოლები. მასწავლებლები, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები მოსწავლეებში ზრდიან სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. ამ საქმეში ეხმარებიან ოფიცრები, ომის ვეტერანები, ინვალიდებიც. ბევრი კარგი წამოწყების მოთავენი არიან სპბჭოთა არმიისა და ფლოტის ვეტერანები, ინვალიდებიც სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ. დამსმენარე კომიტეტმა დაიწყო მასალების შეგროვება დიდ სამამულო ომში ფოთელ მებრძოლთა გმირობის შესახებ. ამ მასალების მიხედვით მზადდება საქალაქო სამხედრო-ისტორიული კონფერენცია, იგეგმება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის საბრძოლო დიდების მუზეუმის შექმნა.

გარკვეულ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში მასობრივი თავდაცვითი და სპორტული ორგანიზაციები.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის დამსმენარე ნებაყოფლობის ორგანიზაციებში მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი დაეუფლა დავდაცვითის სპეციალობებს. ამ საზოგადოების ხალაქაქ საბჭომ მოაწყო 125 შეჯიბრება სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობის დიდმა რაოდენობამ. მომზადებულია მრავალი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი, მოეწყო ლაშქრობანი 414-ე ქართული დივიზიის ბრძოლის მარშრუტით, მოგზაურობანი გმირ ქალაქებში — სევასტოპოლში, ოდესაში, სტალინგრადსა და ბრესტში.

პარტიის საქალაქო ორგანიზაცია და ახალგაზრდობის აღზრდა

□

ბას. მოსწავლეთა შორის გაშლილია შეჯიბრება საბჭოთა კავშირის გმირთა ბიოგრაფიების შესასწავლად, იმართება მოსწავლეთა თემატური საღამოები და სხვ. უაღრესად საინტერესო იყო ერთ-ერთი ასეთი საღამო თემაზე: „ხალხი არ ივიწყებს თავის გმირებს“, რომელიც პირველ საშუალო სკოლაში მოეწყო. ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაღალ კლასებში შარშან დაიწყო და წარმატებით ბოროტიელდება სამხედრო სწავლება. სასკოლო პიონერული ორგანიზაციები მონაწილეობას იღებდნენ საკავშირო სამხედრო თამაშში „ზარნიცა“, სადაც კარგ შედეგებს მიაღწიეს მეშვიდე და მეათე სკოლების პიონერ-კომკავშირლებმა. სკოლებთან ერთად შექმნილია სტენდები: „მათ ახახელეს სამშობლო“, „ქართველი მეომრები — სპბჭოთა კავშირის გმირები“, „სკოლადამთავრებულნი — სამხედრო სამსახურის ფრონტებზე“.

ასეთი კარგად მოფიქრებული და ღრმაშინაარსიანი ღონისძიებანი უაღრესად კეთილმყოფელ გავლენას ახდენენ ახალგაზრდობაში პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივებასა და მის სულიერ ჩამოყალიბებაზე.

პარტიის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ „საყოველთაო სამხედრო სავალდებულო კანონის“ პროპაგანდას. ამ კანონის საფუძველზე საწარმოებში ხდება ახალგაზრდობის მომზადება სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქალაქი კარგ შედეგებს აძლევს საბჭოთა არმიას.

ფართოდ არის გამოყენებული წვევამდელებთან მუშაობის სხვადასხვა ფორმა. ორჯონიკიძის სახელობის გემშემკეთებელ ქარხანაში წვევამდელები არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით ქარხნის ტერიტორიაზე რგავენ ხეებს, რასაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ნავსადგურში დაინერგა მოსაწონი პრაქტიკა: იმათ, ვინც არმიაში მსახურობს, ულოცავენ დღესასწაულებს და დაბადების დღეს, უგზავნიან საქალაქო და მრავალტირაჟიან გაზეთებს, აქვთ მიმოწერა იმ სამხედრო ნაწილებთან, სადაც კოლექტივებიდან წასულნი იხდიან სავალდებულო სამსახურს. ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენი თანამოქალაქენი პატიოსნად იხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, რაზეც მეტყველებს სამხედრო ნაწილების მეთაურთა წერილები.

წვევამდელთა შორის ცხოველ მუშაობას ეწევიან თადარიგის ოფიცრები, რომლებიც ქალაქის სამხედრო კომისარიატის დამხმარე კომიტეტში არიან გაერთიანებულნი. ისინი ეხმარებიან საწარმოთა პირველადს პარტორგანიზაციებს სამხედრო ვალდებულების კანონის განხორციელებაში, წვევამდელთა მომზადებაში.

ბევრი კარგი წამოწყების მოთავენი არიან სპბჭოთა არმიისა და ფლოტის ვეტერანები, რომლებსაც სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ. დამსმენარე კომიტეტმა დაიწყო მასალების შეგროვება დიდ სამამულო ომში ფოთელ მებრძოლთა გმირობის შესახებ. ამ მასალების მიხედვით მზადდება საქალაქო სამხედრო-ისტორიული კონფერენცია, იგეგმება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის საბრძოლო დიდების მუზეუმის შექმნა.

გარკვეულ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში მასობრივი თავდაცვითი და სპორტული ორგანიზაციები.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის დამხმარე ნებაყოფლობის ორგანიზაციებში მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი დაეუფლა დავდაცვითის სპეციალობებს. ამ საზოგადოების ხალაქაქ საბჭომ მოაწყო 125 შეჯიბრება სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობის დიდმა რაოდენობამ. მომზადებულია მრავალი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი, მოეწყო ლაშქრობანი 414-ე ქართული დივიზიის ბრძოლის მარშრუტით, მოგზაურობანი გმირ ქალაქებში — სევასტოპოლში, ოდესაში, სტალინგრადსა და ბრესტში.

მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ვეტერან ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კულტურის სახლში, ქალაქის ბარკში, ბიბლიოთეკებში, კინოთეატრებსა და კლუბებში ეწყობა შეხვედრები, კინოფესტივალები, მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ახალსოფლის, ნაბადისა და ნინოშვილის უბნების კლუბებში ეწყობა ღონისძიებანი, რომლებიც მშრომელებს აცნობენ ფოთელ მებრძოლთა გმირობას დიდ სამამულო ომში.

საქალაქო გაზეთის „ახალი კოლხეთის“ ფურცლებზე მუდმივი ადგილი დაიკავა მასალებმა მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის თემაზე.

ამ ორი თვის წინათ გაიმართა ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება სამხედრო მეზღვაურთა წარმომადგენლებთან ერთად, კრებას დასწრო ბიათურის მშრომელთა დელეგაცია. აქ მოსმენილ და განხილულ იქნა ქალაქის მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისა ღონისძიებათა შესახებ გასულ წელს აქტივის კრებაზე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი. შეიტყობ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ გაგრძელდეს სოციალისტური შეჯიბრება ფოთისა და ბიათურის მშრომელთა შორის. ქალაქის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალთ მოპოვებულ წარმატებებზე დაყრდნობით კიდევ უფრო გააუმჯობესონ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.

მუშაობა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის სულ უფრო ძლიერდება ახალ ლენინური იუბილეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისა და დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ამასთან სრულყოფთ ამ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ვამაღლებთ მის იდეურ დონეს და ქმედითობას.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, პარტიის საქალაქო კომიტეტი, რომლებსაც შეგნებული აქვთ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მნიშვნელობა, კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას გარდაქმნილ მას XXIII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ი. გეგენავა,
საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ქარხანამ დიდება უნდა დაიბრუნოს

რატომ ჩამორჩნენ მეტალურგები

მდგომარეობა დამაფიქრებელია. ჩამორჩენილთა რიგებში აღმოჩნდა ქარხანა, რომელიც მუდამ ითვლებოდა მოწინავედ, ყოველივე ახლისა და პროგრესულის ინიციატორად.

საჭიროა გავიხსენოთ ზოგიერთი მომენტი. იშვიათი შემთხვევაა, როცა მეტალურგიული ქარხანა სრული მეტალურგიული ციკლით ასრულებს სახელმწიფო დავალებას. რუსთაველებს თითქოს მტკიცედ ჰქონდათ დაკანონებული — დავალება მუდამ სრული მეტალურგიული ციკლით სრულდებოდა. ისინი მუდამ ზრდიდნენ პროდუქციის წარმოებას, ამაღლებდნენ შრომის ნაყოფიერებას, ამცირებდნენ პროდუქციის თვითღირებულებას.

თვითონ განსაჯეთ, რაოდენ დასაანია, რომ ამ ბოლო დროს ქარხანველი მეტალურგებისაგან აღარ მოდის სასიხარულო ცნობები· დავალება შესრულდა სრული მეტალურგიული ციკლითო.

დიდი ტრიუმფალური სვლა იყო, რომ ქარხანამ ამ სამეიდი წლის წინათ თავი დაადწია ზარალიან მუშაობას და რენტაბელური გახდა. მართალია, სახელმწიფო დოტაციას ქარხანა არც ახლა საჭიროებს, მაგრამ ფაქტია, რომ აქ სანაზღვროდ შემცირდა მოგების ოდენობა.

ვის შეუძლია რუსთაველ მეტალურგები არ შეაქოს მთელი რიგი საწარმოო პროცესების სრულ ავტომატიზაციაზე გადაყვანისათვის? ამისათვის ხომ ინჟინერ-ტექნიკოსთა ერთმა ჯგუფმა ლენინური პრემიებიც დაიმსახურა. ახლა ქართველ მგლინავთა მაგალითზე საბჭოთა კავშირში მრავალი მეტალურგიული ქარხანა მუშობს. ამ ქართველ მეტალურგთა გონივრული შრომა ღირსეულად იქნა შეფასებული, აქ არიან სოციალისტური შრომის გმირები, ბევრს მიეღებული აქვს მთავრობის სხვადასხვა მაღალი ჯილდოები.

ძალიან საწყენია, რომ ასეთ კოლექტივზე იძულებული ვართ დავწეროთ არა საქებარი, არამედ კრიტიკული წერილი.

როცა ქარხნის კოლექტივის საქმიანობის ანალიზს ვაკეთებთ, ძირითადად ხაზი უნდა გავუსვათ ჩამორჩენის მიზეზებს. მიზეზები კი აქ მართლაც ბევრია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ ქარხნის კოლექტივის ჩამორჩენა რამდენადმე კოლექტივზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა. ქარხანას არ ჰყავს საკმაო რაოდენობით მუშახელი, სისტემატურად განიცდის ლითონის ჯართის, ბუნებრივი გაზისა და ფანგბადის ნაკლებობას, ჯერ კიდევ დიდია მადანში გოგირდის, ხოლო თუჯში ფოსფორის შემცველობა. ცხადია, ყოველივე ეს თავის დაღს ასვამს საერთო საქმეს, მაგრამ ჩამორჩენის საბოლოო ასე თუ ისე მაინც თვით ქარხნის კოლექტივის მუშაობაში უნდა ვეძებოთ.

სწორია ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე, როცა აღნიშნავს, რომ ადგილებზე, საამქროებში მოიკოჭლებს წარმოების ორგანიზაცია, წინასწარ არ ხდება მოსალოდნელი ჩავარდნების გამოვლენა, ამა თუ იმ ტექნიკური პრობლემის გადაჭრა, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, აგრეთვე აუცილებელი საჭირო მასალებით საამქროთა მომარაგებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

მარტენის საამქრო. იგი ადრე ჩვენს ქარხანაში მოწინავედ ითვლებოდა. დღეისათვის აქ მდგომარეობა მეტად საფალოა. საამქროს კოლექტივმა ვერ უზრუნველყო ნახევარი წლის გეგმის შესრულება. მემარტენეების ჩამორჩენა განაპირობა ლითონის ჯართის ნაკლებობამ. როგორც საამქროს უფროსი გ. ქობაკაშვილი აღნიშნავს, ექვსი თვის წანძილზე არ მიეღიათ საჭირო რაოდენობის გაბარიტული ჯართი, რის გამო ღუმელების მოცდენამ ასობით საათი შეადგინა.

მაგრამ ქარხნის ამ წამყვანი კოლექტივის ჩამორჩენას მარტო ამ მიზეზით ვერ ავხსნით. საამქროში მოისუნტაგს შრომის დისციპლინა ტექნიკური პერსონალი ვერ იცავს მომთხოვნელობის ელემენტარულ წესებს, სუსტია საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. მხოლოდ ამ მიზეზებით შეიძლება აიხსნას ის, რომ ნახევარ წელიწადში გამოშვებულია ცივი ნაღნობები და მოხდა რამდენიმე გადახურება.

ბოლო წლებში მარტენის საამქრო ცუდად მარაგდება მაღალხარისხოვანი თუჯით. საჭიროზე ნაკლები რაოდენობით არის ჩამოსასხმელი შემადგენლობა. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ამწე და საგზაო მეურნეობა.

საამქროს ცუდი მუშაობა იმითაც აჩის გამოწვეული, რომ აქ აკლიათ არა მარტო დამხმარე მუშები, არამედ კვალიფიციური მეფოლადეები, ჩამოსხმელები, მეთხრილეები, ინჟინერ-ტექნიკოსები. რატომღაც ამ ბოლო დროს აქ სამუშაოდ აღარ მოდიან პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მეტალურგიული ტექნიკუმის კურსდამთავრებულები.

არც სხვა საამქროებმია ყველაფერი რიგზე. წამყვანად ითვლება აგლოსაბრძმედე საამქრო, რომელმაც წელს ათასობით ტონა თუჯი დაკარგა ქვიყანას. ისეთი ჩავარდნა, როგორიც წელს ამ საამქროს აქვს, თავიანი არსებობის მთელ მანძილზე არა ჰქონია. გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი ტექნოლოგიისა და შრომის დისციპლინის დაბალი დონეა. თებერვალში ოსტატების კიკოძისა და ტაბუციძის მიერ ტექნოლოგიური რეჟიმის უხეში დარღვევის შედეგად № 1 ღუმელის ყველა ფორმაზე გამოჩნდა ნიდა, თუჯი გაცივდა და გოგირდის შემადგენლობა 0,19 პროცენტამდე ავიდა. იენისში ცალის უფროსის გვარამიას, ღუმელის ოსტატის აბრამიშვილის და მეაირე ოძელაშვილის გულგრილობით № 1 ღუმელზე გატყდა ფეხა და ვაიღესა მთავარი ჯორკუსის შტანგა. რის შედეგად მოცდა ღუმელი, დაკარგა ტონობით თუჯი.

ასეთი შემთხვევები საამქროში არცოუ იშვიათია, და გასაკვირველი არ არის, რატომ გაუარესდა აქ პროდუქციის თვითღირებულების და საერთოდ სახელმწიფო გეგმის შესრულების მაჩვენებლები.

ნაკლოვანებები აქვთ მგლინავებსა და მილმგლინავებს. დგანი „1000“ მექანიზმების რემონტის გამო 60 საათს მოცდა, ხოლო ელექტროდანადგარების რემონტის გამო — 20 საათს. დგან „900/750“-ზე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფუნი.

ვერაფრით ვერ შეგურიგდებით იმ ფაქტს, რომ დგანმა „400“-მა, რომელმაც თავისი ავტომატიზაციით მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი, ვერ შეასრულა ნახევარი წლის დავალება. შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს დგან „140“-ის კოლექტივს; თუმცა უკეთესი მაჩვენებლები იქნებოდა, რომ იქაც არ სჭირდეთ „მოცდენის სენი“.

ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქარხნის ისტორიაში კოქსქიმიური და მილადიდვის საამქროთა კოლექტივებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში მათაც გააუარესეს მუშაობა.

ამგვარად, პროდუქციის წარმოების ჩაშლამ, დაკვეთების შეუსრულებლობამ, მატერიალური და ენერგორესურსების გადახარჯვამ, პროდუქციის დაბალმა ხარისხმა ქარხნის ეკონომიური მაჩვენებლების გაუარესება გამოიწვია. მოგების გეგმა მხოლოდ 60,6 პროცენტით შესრულდა, ქარხანამ ჯარიმის სახით ასიეულ ათასობით მანეთი გადაიხადა.

როგორც ვხედავთ, ქარხანაში არასახარბიელო მდგომარეობაა. საჭიროა აქედანვე მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები, რათა ქარხნის კოლექტივმა დაიბრუნოს გუშინდელი დიდება და კვლავაც დაიკავოს საპატიო ადგილი ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა გვერდით.

მაინც როგორ ფიქრობს ქარხნის კოლექტივი მდგომარეობის გამოსწორებას? აი რა გვაინტერესებდა, როცა ქარხნის ხელმძღვანელობა და ზოგიერთ სპეციალისტს ვესაუბრეთ.

ს. შარაძენიძე — ქარხნის დირექტორი: ჩვენი აზრით, თუ ობიექტურ მიზეზებს აღმოვფხვრით, ყველა პირობა გვექნება დავაღწიოთ თავი არსებულ მდგომარეობას. შემუშავებული გვაქვს მოქმედების ოპერატიული გეგმა. მისი განხორციელებით, ვფიქრობთ აგანაშლეაროთ ცუდი მუშაობით გამოწვეული დანაკლისი და ღირსეულად აღვნიშნოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის სახელოვანი იუბილე. მთავარი მაინც შრომის დისციპლინის განმტკიცება და ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიახლეთა ძიება და მათი გაბედული დანერგვა შემდგომი წარმატების დიდი პირობაა. ვთხოვთ ყველა ორგანიზაციას, ჯისაც ლითონის ჯართით, ბუნებრივი გაზით, ფანგბადით, ქვანახშირით, აგრეთვე სხვა მასალებით ქარხნის მომარაგება ევალება, მეტი გულისყურით მოეკიდონ ამ საქმეს.

ბ. ქაშაკაშვილი — მარტენის საამქროს უფროსი: ბუნებრივად დიდი სიძნელეებია, ობიექტივი გამოსავლება მომარაგების თვალსაზრისით, მუშახელის, ინჟინერ-ტექნიკოსთა ნაკლებობით და სხვ. ჩვენ მაინც შევძლებთ [illegible] ამ [illegible] ორგანიზებულად [illegible] ოფიცრებით [illegible] ოფიცრებ [illegible] ოფიცრ [illegible] ოფ [illegible] ოფ [illegible] ოფ

საერთაშორისო სხოვრება

კომუნიკე

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ბერლინი, 30 ივლისი. (საკდესი). 29 და 30 ივლისს გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 30-11 პლენუმი, ნათქვამია დღეს აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

დღის წესრიგის პირველ პუნქტზე კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბერმან აძსენმა.

დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო—„საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის ანგარიში“ — გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილი შტოფი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა. მან ილაპარაკა დასკვნებზე, რომლებიც გამომდინარეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციათა შორის აზრთა გაზიარებიდან.

ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილებანი კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისა და საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეგობრული ვიზიტის შედეგების გამო.

ფოტოინფორმაცია

დღეს სოციალისტურ რუმინეთში

შაბანასანელ წლებში მნიშვნელოვნად იცვალა სახე ქალაქმა კონსტანცამ — რუმინეთის ერთ-ერთმა დიდმა ნავსადგურმა, რომელიც ამავე დროს ქვეყნის სამრეწველო და ტურისტული ცენტრიც არის. გაფართოვდა და ახალი ტექნიკით აღიჭურვა ნავსადგური, გემთსარემონტო სახელოსნოები, აშენდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, განხორციელდა საკურორტო რაიონების კეთილმოწყობა. სურათზე: კონსტანცის ნავსადგური ხედი.

ფოტო აჯერპრეს — ახალი ამბების სააგენტოსი.



სურათზე: (ქვემოთ) ახალი საავადმყოფო კონსტანცაში.

ფოტო „აჯერპრეს — ახალი ამბების სააგენტოსი.



მზადება იაპონიაში

ტოკიო, 30 ივლისი. (საკდესი). იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწონა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებათა პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებისთვის იაპონიის სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანამშრომლობით შეიქმნება სპეციალური კომიტეტი.

ღონისძიებათა მიღებული გეგმა ითვალისწინებს, მიმდინარეობს ოქტომბერში მოიწყოს იაპონიაში საბჭოთა და იაპონელი მეცნიერების სიმპოზიუმი პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებზე. გათვალისწინებულია აგრეთვე იაპონელი და საბჭოთა მეცნიერების ლექციები. იაპონის სხვადასხვა ქალაქში მოეწყობა ლენინისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენები.

22 აპრილს — ვ. ი ლენინის დაბადების დღეს — გათვალისწინებულია გაიმართოს სპეციალური სხდომა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში.

მეგობრობის მიტინგი

ბუდაპეშტი, 31 ივლისი. (საკდესი). უნგრეთში სტუმრად მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ბ. მ. მაშეროვის მეთაურობით გუშინ ეწვია ბუდაპეშტის ფარმაცევტიულ ქარხანას. ამ ქარხნის პროდუქცია კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. საწარმოში გაიმართა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი, განაცხადა მიტინგზე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ დ. კალაიმ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა და ძმური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან განუხრელად ვითარდება. ეს სიხარულით ავსებს თვითეულ ჩვენგანს.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირმა, განაგრძო ორატორმა, განამტკიცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობა, ხელშემწყობი პირობები შექმნა ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანი ფრონტის გასაძლიერებლად.

ვამაყობთ და ბედნიერი ვართ იმით, რომ უკვე მეოთხედი საუკუნეა წინ მივდივართ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან ერთად. განაცხადა დასასრულ დ. კალაიმ.

საპასუხო სიტყვაში ბ. მ. მაშეროვი უნგრეთის მშრომელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მთელი საბჭოთა ადამიანების სახელით მხურვალედ მიესალმა. საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები, თქვა მან, არა მარტო ემსახურება ორი ქვეყნის ინტერესებს, არამედ აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი წვლილია მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურმა მიტინგის მონაწილეებს გააცნო საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

მან ჩაზგასმით აღნიშნა, რომ სრული ურთიერთგაგება საერთაშორისო და საშინაო პრობლემების შეფასებაში, საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური თანამშრომლობა, ორი ქვეყნის მშრომელთა მიზნების ერთიანობა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის შემდგომი აყვავების მტკიცე გარანტიაა.

ბ. მ. მაშეროვმა ფარმაცევტიული ქარხნის კოლექტივს საჩუქრად გადასცა ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

მიტინგი დამთავრდა. მიტინგის მონაწილენი მღერიან „ინტერნაციონალს“.

ბოლოდ

ფაქტები

სანტიაგო კარილიო კუბაში ჩავიდა

ჰავანა, 30 ივლისი. (საკდესი). კუბის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მოწვევით 29 ივლისს აქ ჩამოვიდა ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი სანტიაგო კარილიო.

ხოსე მარტის სახელობის აეროპორტში მას დახვდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი რაულ კასტრო, კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მაიორი ხესუს მონტანე, აგრეთვე კუბა — ესპანეთის მეგობრობის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

ატომური აფეთქების მსხვერპლნი

ტოკიო, 31 ივლისი. (საკდესი). ამა წლის ექვსი თვის განმავლობაში კიდევ 32 კაცი გარდაიცვალა დაავადებებისაგან, რომლებიც გამოწვეულ რადიაქტიურმა მოსხივებამ ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის დროს 1945 წლის აგვისტოში. ამას იუწყება დღეს გაზეთი „იომიური“.

მარტო ხიროსიმის საავადმყოფოში, რომელიც დახმარებას უწევს რადიაქტიური მოსხივებისაგან დაავადებულთ, აღრიცხული ჰყავთ და მკურნალობენ 23.955 კაცს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ წინათ გამოქვეყნებული მონაცემებით, აღნიშნავს გაზეთი, 300 ათასამდე კაცს, რომლებმაც რადიაქტიური მოსხივება განიცადეს, უსაჭიროება უფიქრიათ მეთვალყურეობა და მკურნალობა.

პარტიზანთა მოქმედება

კაირო, 31 ივლისი. (საკდესი). არაბი პარტიზანები აძლიერებენ მოქმედებას ისრაელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

როგორც პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, 29 ივლისს ღამით მან მთელი რიგი ოპერაციები განახორციელეს მდინარე იორდანის ხეობაში, „ალ-ახფარს“ მეომრებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ისრაელთა სამხედრო ავტომანქანებს მამელის ხეობაში მიმავალ ახალ გზატკეცილზე (მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი). ამის შედეგად მოსპეს რამდენიმე ავტომანქანა, დაბოცეს და დაჭრეს ბევრი ისრაელი ჯარისკაცი. სოფლებში ართინში, მაოზ-ხაიმში, ნასაღანში და ხომის რაიონში რაკეტების ცეცხლით მოსპეს ისრაელთა რამდენიმე ობიექტი.

ქალაქის მერი კომუნისტია

პარიზი, 31 ივლისი. (საკდესი). კომუნისტი ჟან უბერე აირჩიეს ქალაქ უშაპის (ლუარისა და შერის დეპარტამენტი) მერად. არჩევნებზე მუნიციპალური საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ხმა მისცა საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატს.

„მარინერ-6“ - მა ჩაუფრინა მარსს

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. (საკდესი). ხუთნახევარი თვის ფრენის შემდეგ ამერიკის „მარინერ-6“ ავტომატურმა სადგურმა პროგრამის შესაბამისად მარსს ჩაუქროლა პლანეტის ზედაპირიდან დაახლოებით 3.200 კილომეტრ მანძილზე. ფრენის დროს „მარინერ-6“ სურათებს უღებდა და ზონდავდა პლანეტას. კოსმოსური აპარატი ამ მომენტში 96 მილიონ კილომეტრზე მეტით იყო დაშორებული დედამიწას.

29 ივლისს მარსთან მიახლოების დროს, როცა „მარინერ-6“ 1 მილიონ 200 ათასი კილომეტრით იყო დაშორებული პლანეტას, დედამიწაზე გადმოსცა სატელევიზიო გადაღებათა ხერია.

საერთო-სახელმწიფოებრივი თათბირი პრაღაში

პრაღა, 30 ივლისი. (საკდესი). დღეს პრაღაში გაიმართა ხახალხო მილიციის სოციალისტური ქვეყნების უფროსთა საერთო-სახელმწიფოებრივი თათბირი.

თათბირს დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მილიციის სარდალი გ. ჰუსაკი, სახალხო მილიციის სარდალი ჩეხეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ლ. შტროუგალი და სახალხო მილიციის სარდალი სლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში შ. სადოვსკი.

თათბირზე განიხილეს სახალხო მილიციის მუშაობის აქტუალური საკითხები და მოისმინეს საინფორმაციო მოხსენება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, თათბირმა ცხადყო აზრთა სრული ერთობა თანამედროვე მდგომარეობის შეფასებაში და დაადასტურა, რომ სახალხო მილიცია მზად არის შეასრულოს ამოცანები, რომლებიც მას პარტიის ხელმძღვანელობამ დააკისრა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის ბიუროს სხდომა

პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხიის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის ბიუროს სხდომა ლ. შტროუგალის თავმჯდომარეობით.

ბიურომ განიხილა ეროვნული კომიტეტების ორგანიზაციისა და მუშაობის საკითხები, აგრეთვე ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიული დაყოფის საკითხები. სხდომის მონაწილეებმა ამსჯელეს ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის საქმიანობაზე.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დასკვნების შესაბამისად პარტიული ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობენ იდეოლოგიური და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხელმძღვანელობას. ბიურომ მოიწონა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ დარგში. ახალი სასწავლო წლის დამდეგს მოეწყობა იდეოლოგიური კონფერენცია, რომელიც ამასთანავე იქნება მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმისათვის. (საკდესი).

პროფკავშირები ინონეზეს

დელი, 30 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის ცენტრალური მთავრობის მოსამსახურეთა ფედერაციის, აგრეთვე მთელი რიგი პროფკავშირების წარმომადგენლები ეწვევიან პრემიერ-მინისტრ ინდირა განდის, რათა კმაყოფილება გამოუთქვა „ინდოეთის ეკონომიკის განვითარებაში ახალი მიმართულების გამო“. როგორც გაზეთი „პატრიოტი“ წერს, მათ პრემიერ-მინისტრს განუცხადეს, რომ მთლიანად უჭერენ მხარს მთავრობის ღონისძიებებს, კერძოდ, ინდოეთის უდიდესი ბანკების ნაციონალიზაციას.

პონფერენცია ტოკიოში

ტოკიო, 30 ივლისი. (საკდესი). ტოკიოს „ბაბუსი კაბიანების“ დარბაზში დღეს გაიხსნა მოსამზადებელი სხდომა მმ-15 საერთაშორისო კონფერენციისა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხებზე, რითაც აღინიშნა ამ კონფერენციის მუშაობის დაწყება.

კონფერენცია, რომელიც მოაწყო ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის სრულიად იაპონიის საბჭომ, მიმდინარეობს ლოზუნგებით: „პროტესტი განვაცხადოთ ვიეტნამში წარმოებული აგრესიული ომის წინააღმდეგ, დახმარება გავუწიოთ ვიეტნამელ ხალხს, პროტესტი განვაცხადოთ ჩრდილოეთ კორეის მიმართ სამხედრო პროგოკაციების წინააღმდეგ“, „ვიბრძოლოთ თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის, ატომური იარაღის სრული აკრძალვისათვის, იმისათვის, რომ უახლოეს დროში დადონ შეთანხმება ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ“.

კონფერენციის ლოზუნგები მოუწოდებენ: „პროტესტი განვაცხადოთ იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირის ატომურ კავშირად გადაქცევის წინააღმდეგ, მივაღწიოთ იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების ლიკვიდაციას, მივაღწიოთ იმას, რომ ოკინავა დაუყოვნებლივ, რაიმე პირობის დაუთმენლად და მთლიანად დაუბრუნდეს იაპონიას, აიკრძალოს ატომური იარაღის შემოტანა იაპონიაში, ვიბრძოლოთ იაპონიის ატომური შეიარაღებისა და მილიტარიზაციის წინააღმდეგ“.

ყოველი მხრიდან

უცხოეთის პრესის მიმოხილვა

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესული საზოგადოებრივობის წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია ბუნდესვერის თავმჯდომარის ფონ ჰასელის განცხადებამ, რომელმაც დაიცვა ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია. პოლონური „გლოს პრაცი“ წერს, რომ ეს „პირველი განცხადება როდია ბონელი დიდი მოხელისა, რომელიც მფარველობას უწევს ნეონაციზმის ძალებს დასავლეთ გერმანიაში“. გაზეთი აღიშნავს, რომ დასავლეთი გერმანიის მემარცხენე ძალებმა ფონ ჰასელის განცხადება აღიქვეს როგორც ჰიტლერიზმის გამართლების ცდა, როგორც „ძმური შეურაცხყოფა ფაშიზმის ყველა მსხვერპლისა“.

იაპონიის გაზეთები კომენტარს უძღვიან იაპონია-ამერიკის ეკონომიკისა და ვაჭრობის გაერთიანებული კომიტეტის სხდომების მიმდინარეობას. მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. იიტი. გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ იუწყება, რომ ამერიკის მხარე „უარყოფითად მოეკიდა ოკინავაზე ატომური ბაზების ლიკვიდაციის საკითხს. როგორც - გაზეთების ცნობებიდან ჩანს. ეკონომიური საკითხების განხილვის დროს წარმოშობა სერიოზული უთანხმოებანი. „იომიური“ წერს, რომ იაპონიის წარმომადგენლებმა „არ დაკმაყოფილეს ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნები“ იაპონიის ქსოვილთა ექსპორტის შეზღუდვის საკითხში.

ნიუ-იორკის გაზეთების აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის ვიზიტი სამხრეთ ვიეტნამში იმის დემონსტრაციაა, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს საიგონის მარიონეტულ რეჟიმს. „ნიუ იორკ ტაიმსის“ სარედაქციო სტატია აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებას, რომლითაც მან მიმართა ამერიკელ სამხედროო მოსამსახურეებს. პრეზიდენტმა ვიეტნამის აგრესიულ ომს უწოდა „ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი პერიოდი ამერიკის ისტორიაში“.

ლონდონის „მორნინგ სტარი“, კომენტარს უძღვნის რა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოგზაურობას აზიის ქვეყნებში, სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ვიეტნამში გაკოტრდა“. ამავდროულად განაგრძობს გაზეთი. შეერთებულ შტატებს სურს აიძულოს აზიის რეაქციული ძალები „მის ნაცვლად აკეთონ ბინძური სამუშაო, რათა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმს შეეძლოს კვლავ განაგრძოს აზიის ხალხების ექსპლოატაცია“.

პირველი ცნობები მთვარის შესახებ

ნიუ-იორკი. 31 ივლისი. (საკდესი). ამერიკელი კოსმონავტები ნილ არმსტრონგი, მაიკლ კოლინზი და ედგარ ოლდრინი — „აპოლონ-11“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი — განაგრძობენ კარანტინს მთვარეზე გაფრენის შემდეგ. სამედიცინო გამოკვლევა მიუტანთნის მართული ფრენის ცენტრის სპეციალურ ლაბორატორიაში, გვიჩვენებს რომ კოსმონავტები ჯანსაღად არიან. არ აღმოჩენილა მთვარის რაიმე მიკროორგანიზმებით მოწამვლის არავითარი ნიშანი, იუწყება ასოშიეიტედ პრესს საგენტო.

არმსტრონგის კოლინზისა და ოლდრინის სისხლის ანალიზს არ აღმოუჩენია რაიმე „ცვლილება მთვარის ზედაპირთან კონტაქტის შედეგად“. ეს განაცხადა დოქტორმა ფიშერმა, რომელიც კოსმონავტების სამედიცინო მეთვალყურეა.

გაკეთებულია ქიმიური ანალიზი მთვარის ქანის ნიმუშებისა, რომლებიც ამერიკელმა კოსმონავტებმა ჩამოიტანეს დედამიწაზე. მთვარის ქანები, როგორც ამერიკელი მეცნიერები აცხადებენ, „რამდენადმე მნიშვნელოვანი რადიოენერგიით არ შეიცავს რკინას“. სამაგიეროდ ტიტანის შემცველობა საკმაოდ მაღალია მიწის ქანებთან შედარებით.

ნობელის პრემიის ლაურეატმა დოქტორმა ჰაროლდ იურომ პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მიღებული მონაცემები აიძულებენ მას გადასინჯოს თავისი თეორია, რომლის თანახმად მთვარე არის ცივი ინერტული სხეული და გეოლოგიურად მკვდარია.

რადიაქტიური იზოტოპების ახალი ლაბორატორია

ბელგრადი. ქალაქ ზაეჩარის სამედიცინო ცენტრში გაიხსნა რადიაქტიური იზოტოპების ლაბორატორია. ეს იუგოსლავიის უკვე მეოთხე სამედიცინო ცენტრია, სადაც მკურნალობისას იყენებენ რადიაქტიურ იზოტოპებს. (საკდესი).

ტურისტია გაცვლა ფართოვდება

სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მომავალ წელს ტურისტების გაცვლის გაფართოება გათვალისწინებულია შეთანხმებით. რომლის პროექტი პრაღაში განიხილეს საბჭოთა „ინტურისტისა“ და ჩეხოსლოვაკიის „ჩედოკის“ ხელმძღვანელებმა.

წელს ჩეხოსლოვაკიას ეწვევა 29 ათასი საბჭოთა ტურისტი. ხოლო საბჭოთა კავშირს — 28 ათასი ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქე. მომავალ წელს კი გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა ტურისტების რიცხვმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მიადწიოს 32 ათასს, ხოლო სსრ კავშირში ჩამოვიდეს 30 ათასი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე.

1970 წელს ჩეხოსლოვაკიიდან სსრ კავშირში ტურისტულ მოგზაურობათა ნაწილი თემატურად დაკავშირებულ იქნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულთან. (საკდესი).

კომუნისტი
№ 3 ბელგრადი, პარასკევი, 1 აგვისტო, 1969 წ.

ესეც ფენი „თავისუფალი სამყაროს“!

შრომა და კაპიტალი

ნიუ-იორკი. „ვესტერნ ეირლაინზის“ საავიაციო კომპანიის ორი ათასი მექანიკოსისა და მოსამსახურის გაფიცვამ შეაჩერა ორმოცდაოთხი აეროდრომის მუშაობა ამერიკის შეერთებული შტატების 14 დასავლეთ შტატში. „ვესტერნ ეირლაინზი“ — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მსხვილი საავიაციო კომპანიაა, რომელსაც დღეში 20 ათასამდე მგზავრი გადაყავს, — ძალებგამოცლილი იყო ავრეთვე შეეწყვიტა ფრენა კანადაში, მექსიკაში და ჰავაის კუნძულებზე. გაფიცვის მონაწილენი იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის, დაქირავების დროს ადმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ და სამუშაო ადგილზე თანამშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სანტიაგო. ოფიციალური მონაცემებით, ჩილეს მშრომელებმა მიმდინარე წლის პირველი 6 თვის მანძილზე დაახლოებით 400 გაფიცვა მოაწყეს. გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნაა ხელფასის მომატება. ამ მოთხოვნას გაფიცულნი აყენებენ იმასთან დაკავშირებით, რომ განუხრელად იზრდება ცხოვრების ღირებულება, რომელმაც წლის პირველ ნახევარში 23,4 პროცენტს მიაღწია.

ბუენოს-აირესი. „იკარონოს“ კომპანიის ქალაქ კორდოვის საავტომობილო ქარხნებში დასაქმებულმა რამდენიმე ათასმა არგენტინელმა მუშამ ორსაათიანი გაფიცვების სერია მოაწყო. ისინი პროტესტს აცხადებენ ადმინისტრაციის თვითნებობისა და კომპანიის საწარმოებიდან მუშათა მასობრივი დათხოვნების წინააღმდეგ. მშრომელები მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ აღადგინონ სამუშაოზე ყველა დათხოვნილი და აყენებენ მთელ რიგ სხვა მოთხოვნებს.

კარაკასი. პოლიციამ ცეცხლი დაუშინა მუშებს, რომლებიც ცდილობდნენ გზა გადაეღობათ შტრაიკბრეხერებისათვის ვენესუელის ქალაქ გუარენასის „ოლანის“ საფეიქრო თაბრიკაში. ერთი მუშა დაიჭრა, ორს კონტუზია მოუვიდა.

ოკეკე მეორე კვირაა გრძელდება გაფიცვა საფეიქრო თაბრიკაში. გაფიცულნი პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ უკანონოდ დაითხოვეს მათი 26 ამხანაგი. გაფიცვის მანძილზე ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რომ პოლიცია რეპრესიულ ღონისძიებებს იყენებს.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის არ არის არც ერთი სამრეწველო რაიონი. სადაც მშრომელები არ იბრძოდნენ საარსებო უფლებებისა და ინტერესებისათვის. გაიფიცნენ ნიუ-იორკისა და კანზას-სიტის მშენებლები, ბოსტონის ელექტროსადგურები და სამხრეთ კალიფორნიის ქალაქების წყალსადენის მუშაკები, კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ ავტომშენებლები ჯორჯიაში, ელექტროდოს ქარხანა „დოუ ქემიკალის“ მუშები, რომელიც ასრულებს ატომური ენერგიის კომისიის სამხედრო შეკვეთებს.

ამერიკის მშრომელთა სავაფიცო მოძრაობას ახასიათებს სიმტკიცე და სოლიდარობა მონოპოლიათა შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჰავანა. ქალაქ ტილბურგის სართავი თაბრიკის 500-მდე მუშამ და მოსამსახურემ მიიღეს უწყება, რომ სხვა სამუშაო უნდა ეძებონ „წარმოების შემცირებასთან დაკავშირებით“. ეს თაბრიკი, რომელიც ეკუთვნის „ნიდერლანდის საფეიქრო ქიმიურს“, დაიხურება. ისევე როგორც ამ ქიმიურის ბევრმა სხვა საწარმომ, მან ვერ გაუძლო უცხოთის ფირმების კონკურენციას. (საკდესი).

მიეძღვნა დიად იუბილეს

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲗᲐ ᲜᲐᲗᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲙᲚᲝᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲨᲘ

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა მონაწილეობა მიიღო უმაღლეს თეატრალურ სასწავლებელთა დათვალიერებაში, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ეს დათვალიერება იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ იგი მოეწყო ლენინგრადში. უმაღლესმა თეატრალურმა სასწავლებლებმა საკავშირო დათვალიერებაზე 11 სპექტაკლი წარმოადგინეს (სამსახიობო ფაკულტეტების მესამე ან მეოთხე კურსის სადიპლომო ნამუშევრები). დათვალიერება მიზნად ისახავდა გარკვეულიყო, თუ როგორია სასწავლო რეპერტუარში თანამედროვე თემაზე მუშაობის ხარისხი, სპექტაკლის იდეურ-მხატვრული გააზრების დონე, რამდენად ახერხებს თეატრალური პედაგოგიკა სტუდენტს შემოქმედებითი ინდივიდუალობის ძირითადი ნიშნებისა და თავისებურების გახსნას, რამდენად უწყობს ხელს თეატრალური პედაგოგიკა აქტიორული მონაცემების ნაირსახეობის გამოვლინებას და მისი გამომსახველი საშუალებების გამდიდრებას.

დათვალიერებას უნდა წარმოესახა, თუ რამდენად ფართოა უმაღლეს თეატრალურ სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული ჰორიზონტი, როგორ ახერხებს აქტიორული ფაკულტეტების სტუდენტმა სინამდვილის ასახვას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, სოციალისტური ეთიკის და მორალის პოზიციებიდან. რაკი დათვალიერება საკავშირო მასშტაბით ტარდებოდა, ისიც უნდა გარკვეულიყო, თუ რამდენად უპასუხებს თეატრალური ახალგაზრდობის იდეურ-მხატვრული მომზადება შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის გამდიდრების ამოცანებს, ერთი სიტყვით დათვალიერებას რამდენადმე უნდა ჰესახა საბჭოთა კავშირში მსახიობის ხელოვნების ხაალნდელი დღე, აქტიორული შემოქმედების განვითარების პერსპექტივა.

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო აკაკი გეწაძის პიესით „წმინდანები ჯოჯოხეთში“ (შექავლილი სათაურით „ჩვენ ვიცოცხლებთ“). სპექტაკლზე მუშაობისას კურსს ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ი. კაკულია, სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა რუსუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა გ. ცეტრაძემ (სასცენო მეტყველების მასწავლებლები: პროფესორის“ მოვალეობის შემსრულებელი მ. მრევლიშვილი, დოცენტი ბ. ნიკოლაიშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. საღარაძე, ჯრიმის პედაგოგი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. სარჩიმელიძე), სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ბობოხიძემ, სამხედრო კონსულტაცია გაუწია ოფიცერმა კ. ბერეგვაძემ. სპექტაკლი მიჰყავდა სტუდენტებს ც. აბზიანიძეს და ე. ბართაიას.

საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტს დადებითად ჩაეთვალა, რომ ის მუშაობს თანამედროვე, ეროვნულ დრამატურგიულ მასალაზე. ეს მით უფრო შესამჩნევი გახდა, რომ დათვალიერებაზე წარმოდგენილი სპექტაკლების უმეტესი ნაწილი ინსცენირებებია და ლიტერატურულ-დოკუმენტალური კომპოზიციებით იყო შეზღუდული. პიესის დადებით მხარედ მიიჩნიეს შტამპისაგან თავის-დაღწევა, მოიწონათ, რომ პიესაში სამამულო ომის ვითარება შთამბეჭდავად არის ასახული.

საჯარო განხილვაზე ერთსულოვნად მისცეს მაღალი შეფასება ქართველი სტუდენტების სადიპლომო სპექტაკლის იდეურ-მხატვრულ ღირსებას. აღნიშნავდნენ სპექტაკლის ცხოველმყოფელ ოპტიმიზმს, მსახიობთა შემოქმედებითის შემართებას, კოლექტიური შემოქმედების კულტურას, მასობრივი სცენების პოეტურ გამომსახველობას.

საჯარო განხილვაზე აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლში შერწყმულია თეატრალური პედაგოგიკისა და რეჟისურის იდეურ-მხატვრული მოთხოვნები. ეს მით უფრო საგრძნობი იყო, რომ დათვალიერებაზე წარმოდგენილი სპექტაკლების უმეტესობა ან მხოლოდ რეჟისორულად იყო დადგმული, ანდა სტუდენტებთან კარგი პედაგოგიური მუშაობის ხარისხს უჩვენებდა მაგრამ როგორც სპექტაკლი დუნე, არასაინტერესო და მოსაწყენი იყო. საჯარო განხილვისას ისიც აღინიშნა, რომ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლი ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის მონაპოვართა ნიადაგზე დგას და თანაც ეუოლისმიერად და ფრთხილად ითვისებს ყოველივე ახალს.

ჟიურომ ქართველი სტუდენტების სპექტაკლი მიიჩნია იმის ცხადოყოფად, თუ როგორი ელვარებით იჩენს თავს ეროვნული თავისებურება სოციალისტური სინამდვილის ამსახველ სცენურ ქმნილებაში. ჟიურომ აღნიშნა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის გამარჯვება დათვალიერებაზე და დაჯილდოდა იგი დიპლომით. ეს ჯილდო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტი ახალგაზრდობის თავდადებული შრომით, სწავლით და მეცადინეობით არის მოპოვებული. დათვალიერებაზე გამარჯვებულ ქართულ სპექტაკლში მონაწილეობდნენ სტუდენტები გ. გოგილაშვილი, ჯ. ღუდუშაური, ა. ლოლუა, რ. ოტიაშვილი, ი. გეწაძე, ლ. გაფრინდაშვილი, გ. ჩხარტიშვილი, ვ. წიტაიშვილი, თ. ხიდაშელი, ე. თავდიდიშვილი, მ. კვლოშვილი, ს. მელაძე, ა. მიქაძე, ე. ბართაია, ც. აბზიანიძე. ამათგან ჟიურომ სიგელებით დაჯილდოდა ჯ. ღუდუშაური (მაია), ა. ლოლუა (მირანი) და ე. ბართაია (ფიალკოვა).

ჩვენი პედაგოგებისა და სტუდენტობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დათვალიერებაში მონაწილეობას, რამდენადაც მათ გაიარეს მოძმე ინსტიტუტების შემოქმედებითი მიღწევები, უშუალო კონტაქტი დაამყარეს მათთან —რაც ეჭვი არ არის, გარკვეულ ნაყოფს გამოიღებს სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი წარმატებისათვის.

ი. თავაძე.

თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ᲐᲜᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ანა ილიას ასული ჩხეიძე. ჩვენგან წავიდა რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე სპეციალისტი, საქართველოში რუსული მწერლობის დაუღალავი პროპაგანდისტი და სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელ-მასწავლებელი.

ანა ჩხეიძე დაიბადა 1892 წელს დაბა ზესტაფონში. დაამთავრა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელი და 1911 წელს შეიყარა პეტერბურგის ქალთა ბესტუჟევის უმაღლესი კურსების ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, ბრწყინვალედ ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტში და მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი. რამდენიმე წელს ა. ჩხეიძე მოღვაწეობდა სახალხო განათლების სისტემაში და ჟამომცემლობებში, ხოლო 1929 წლიდან დღემდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის ლექტორად, დოცენტად, პროფესორად.

1942 წელს ა. ჩხეიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1952 წელს — სადოქტორო. მისმა სადოქტორო ნაშრომმა ა. ს. პუშკინის „პუგაჩოვის ისტორიაზე“ რუსეთის ჟამონაწერებზე მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კათედრას, ა. ჩხეიძემ გამოაქვეყნა 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, სამშობლოს აღუზარდა მრავალი პედაგოგი და მეცნიერი მუშაკი. იგი იყო თავმდაბალი და ჩუმი მოღვაწე, ამავე დროს უაღრესად პრინციპული ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე საყვარელ საქმეს შეალია.

ა. ჩხეიძის მოღვაწეობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მთავრობის მიერ იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მინაქებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; ოთხგზის იქნა არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

მისი მეგობრები, კოლეგები და აღმზრდელები არასოდეს არ დავიწყებენ ანა ჩხეიძის სპეტაკ სახეს.

საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ურთიერთობის საზოგადოებამ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კავშირის საპატიო წევრი ი. ლ. ყანდარელი დაჯილდოვა მედლით „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის“. სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩოს სამხედრო ატაშემ გენერალ-ლეიტენანტმა ფრანტიშეკ სედლაჩეკმა გულთბილად მიულოცა ჯილდო ყანდარელს.

სამი წლის წინათ საბჭოთა შეიარაღებული ძალების თადარიგის მაიორმა ირაკლი ყანდარელმა გორში თავის ბინაზე მოაწყო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მუზეუმი. მუზეუმის ექსპოზიციაში ორი მოძმე ხალხის საბრძოლო და შრომითი თანამეგობრობის სამი ათასამდე სხვადასხვა რელიკვიაა.

ირაკლი ყანდარელი მოძმე ქვეყნის განთავისუფლების აქტიური მონაწილეა. მზვერავთა ქვეგანაყოფი, რომელსაც ყანდარელი მეთაურობდა, პირველი შეიჭრა ქალაქებში პოლომოუცში, ოსტრავაში, პეტრკოვალდსა და სხვა ქალაქებში. მადლიერების ნიშნად ამ ქალაქების მცხოვრებლებმა საბჭოთა ოფიცერი ყანდარელი თავიანთ საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, ქალაქ ოსტრავის მაღაროელებმა კი საპატიო მეშახტედ.

ირაკლი მეგობართა მიწვევით ორჯერ იყო მოძმე ქვეყანაში. მას მუდმივი მიმოწერა აქვს თავის მრავალ მეგობართან, მათგან იღებს სამახსოვრო ნაჩუქრებს მუზეუმის ექსპონიციის შესავსებად. ახლახან სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩოს საბჭოთა ხელმძღვანელობა ვადასცეს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ბიბლიოთეკა და ჩეხოსლოვაკიელი ოსტატების მიერ შესრულებული ბარელიეფი რევოლუციის ბელადისა. (საქდესი).

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

თბილისელ ხელოვნების ოსტატთა დიდი ჯგუფი ამ დღეებში ეწვია მესხეთის რაიონებს. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, ე. ყიფშიძე, ი. ტრიპოლსკი, ტ. საყვარელიძე, გ. ველოვანი, ა. შალიკაშვილი, მ. სიხარულიძე, სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები მ. შილდელი, ო. კილაპტრაშვილი, ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი კ. მელაძე, კონცერტმეისტერი ე. ჯოძიაშვილი. ეს იყო „თეატრის გასვლა ხალხში“, რაც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მსახიობებმა ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის სტადიონებზე ღია ცისქვეშ გამართეს კონცერტები.

(„კომ“. კორ.).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲘ



ᲛᲝᲓᲘᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ

სამი სეზონია, რაც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი აკად. შ. ამირანაშვილის თაოსნობით გათხრებს აწარმოებს საჩხერის რაიონში. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი დ. ხახუტაიშვილი, მეცნიერი თანამშრომლები ც. კუხიანიძე, ვ. თუთბერიძე, ნ. ხაფავა, ბ. შატბერაშვილი, ი. ჯანდიერი, არქიტექტორი შ. გოგოლაძე და სხვები. არქეოლოგებს საჭირო დახმარებას უწევდნენ რაიონის მშრომელები, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები.

„კომუნისტის“ მკითხველებს ადრე ვაუწყებდით, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად სოფელ საირხეში გამოვლინდა ადრეანტიკური ხანის მეტად საინტერესო არქეოლოგიური ძეგლები.

და აი მათი შესწავლის შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ სოფელი საირხე ძველი კოლხეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი დაწინაურებული ოქნის, მდინარე ყვირილის ხეობის ადმინისტრაციულ - სავაჭრო - რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. ამის საბაბს უპირველეს ყოვლისა იძლეოდა საირხეში მიკვლეული გრანდიოზული ნაგებობის (ტაძრის) არქიტექტურული დეტალები, საკულტო დანიშნულების საგნები, ცხოველთა სკულპტურული ეკლესიები, რომლებიც სოფლის დასავლეთით თხუთმეტი ბორცვის გარშემო უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებული.

ეს ვარაუდი რამდენადმე დაადასტურა ბაული წელს საირხეში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. აქ გამოვლინდა სახელოსნო უბნები, რაც ქალაქის ან მსხვილი სადაბო ცენტრისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი. მცირე და დიდი ზომის ნაგებობათა ნაშთებს შორის აღმოჩნდა დ. წ. VI-I საუკუნეების მატერიალური და მხატვრული კულტურის მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტიგელები. ეს თავიანებური საშფეფა თიხის ჭურჭლები, რომლებშიც გამოდნობილი ლითონის ჩამოსხმა-დაყალიბება ხდებოდა, უტყუარად მოწმობენ, რომ საირხეში 2.500 წლის წინათ არსებულა ბრინჯაოსა და რკინა-ფოლადის საკმაოდ მძლავრი საწარმო. აქ, საობარ და სასოფლო-სამეურნეო იარაღებთან ერთად უმზადებიათ სხვა ათასი წვრილმანიც, დაწყებული ბრინჯაოს პატარა მაშებიდან, რომლებიც შესაძლოა იმ დროისათვის კოსმეტიკის საგნებს წარმოადგენდა, და დამთავრებული ანკესებით, 2500 წლის შემდეგ ფორმის შეუცვლელად რომ მოუღწევიათ ჩვენამდე. საირხეში აღმოჩენილი ბერძნული შავლაქიანი ჭურჭლის ფრაგმენტები და აღმოსავლური, ფინოლად გამომწვარი მოხატული კერამიკის ნიმუშები მიუთითებენ შორეულ სავაჭრო კავშირებზე და საშუალებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ამ სოფელზე ან მის მახლობლად გადიოდა ტრანსკავკასიის იმ გზის ერთი მონაკვეთი, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა და ელადიდან პონტზე გავლით შუა აზიისა და ინდოეთისაკენ მიემართებოდა.

გზის არსებობა სავარაუდოა არა მარტო ელინისტურ, არამედ უფრო ადრეულ ხანაშიც და, რაღა თქმა უნდა, მას იმთავითვე დიდი როლი უნდა შეესრულებინა აღნიშნული ქვეყნისა და მისი ცენტრის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებაში. თუ არსებობდა ცენტრი, ხომ უნდა არსებულიყო მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაც? ამ კითხვაზე პასუხი რომ გაეცა, ექსპედიციამ მიზნად დაისახა მიეკვლია საირხის სინქრონული ძეგლებისათვის და საერთო კომპლექსში წარმოედგინა ამ უკანასკნელის როლი აღნიშნული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ მიზნით მოეწყო დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები, რის შედეგადაც ყვირილის ხეობაში გამოვლინდა ათობით გვიანი ბრინჯაოს, ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარები. განსაკუთრებული ყურადღება დადგენდა დასახლებულ პუნქტს. შესაძლოა მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტუროს, რომ გვიანი ფეოდალური ხანის ციხე, რომლის კოშკებიდანაც მოჩანს ისტორიული არგვეთის მთელი მიდამო, აშენებულია უძველეს ხანაში, აქ არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობის ადგილზე.

1967 წელს ჩვენ გულმოდგინედ ვეძებდით გვიანანტიკური ხანის ძეგლებს, რამდენიმე ათეულმა თხრილმა თითქმის არაფერი მოგვცა. გასულ წელს, როდესაც ერთ-ერთი თხრილის სიღრმემ მეტრნახევარს გადაამეტა, მიწაში გამოჩნდა წყობისად ჩალაგებული ქვები. ისინი წარმოადგენდნენ 30-40 სმ სიმაღლის კედლებს, რომლებითაც შემოწულული იყო საზოგადოების მაღალი წრის წევრების სამარხები. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ დიდი ზომის ორყურა ჩაფები, ნარინჯისფერი მსხლისებური ფორმის, ან მრგვალმუცლიანი კოპაწია დოქები.

მამაკაცებს ჩატანებული ჰქონდათ ფოლადის ორლესული სატევრები, რომლებიც ძალიან მოგვაგონებენ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილ ხანჯლებს. ერთ სამარხში აღმოჩნდა ისრის პირები, ფარის ნაწილი და მასრაშეკრული ქვიანი შუბის პირი. მისი სიგრძე 60 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო პირის სიფართე — 10 სანტიმეტრს. ეს იარაღი სანახევროდ მიწისგან არის შეგზეული, მაგრამ მაინც ერთ კილოგრამს იწონის.

საკმაოდ დიდი რაოდენობით მოპოვებულია რკინა-ბრინჯაოსა და ოქრო-ვერცხლის სამკაულები.

აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის ნახევრადძვირფასი ქვის თვლებით შემკული ბრინჯაოს საკინძები, ვერცხლის ბეჭდები, საყურეები და ბრინჯაოს შვილდსაკინძები. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბაჯაღლო ოქროსგან გაკეთებული მასიური ბეჭდები, რომელთა ბუდეები შემკულია პატიოსანი თვლებით. ბეჭდის ერთ თვალზე ამოკვეთილია ოდნავ ფრთაგაშლილი არწივი. იგი დაბალ, მრგვალ სამხვერპლოზე დგას. კლანჭებში პალმის ტოტი უჭირავს, ხოლო შეაწეულ მარჯვნივ შემორწყულებულ ნისკარტში — ფოთლოვანი გვირგვინი — გამარჯვების სიმბოლო.

მეორე ბეჭდის თვალზე, რომელიც სარდიონ-ფირცხალის ცისფერ ქვას წარმოადგენს, მაღალ რელიეფში გამოკვეთილია ადამიანის (ქალის) თავის გამოსახულება.

ქართული ოქრომჭედლობის შედევრებად შეიძლება მივიჩნიოთ მოდინახეზე აღმოჩენილი ზოგიერთი საბეჭდავი. ოქროს მოლიანი ფირფიტისაგან გაკეთებული ოვალური ფორმის საყურეები, რომელთა ბუდეებიც მოოქროვილია ლალისა და ფირუზის თვლებით. საყურეს სხივების სახით გარს შემოუყვება ოქროს ღერაკები, რომლებიც მარგალიტის ბურთულებით არის დამშვენებული.

არანაკლებ საინტერესოა სადა ანგარდულებით შემკული ვერცხლის ფიალები, გაურკვეველი დანიშნულების რკინისა და ბრინჯაოს ნივთები. ორ სამარხში იყო ბრინჯაოს თეფშები. ვფიქრობთ, ისინი დასარტყმელი მუსიკალური საკრავი, ე. წ. წინწილი უნდა იყოს, რომელსაც რუსთაველი ორჯერ იხსენიებს („ბუკსა ჭიკს და წინწილანი დაბაკბობდეს მათთა ხმათა“, „ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა ებნისა“). წინწილი საბას განმარტებული აქვს როგორც ტაბილისაური ინსტრუმენტი.

აღმოჩენილია კონსტანტინე დიდისა და კონსტანციუსის ოქროს მონეტები. მონეტები წარმოადგენენ მინაბაძიებს და ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოდინახეზე გამოვლენილი კულტურა, რომელსაც ჩვენ ახ. წ. IV საუკუნით ვათარიღებთ, განსაკუთრებულ მსგავსებას აჩენდავნებს მცხეთა-არმაზის არქეოლოგიურ ძეგლებთან. ამიტომ მის შემდგომ კვლევაში ქართულ არქეოლოგიაში სათანადო ადგილის დასამკვიდრებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფ. ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, ა. კალანდაძისა და გ. ლომთათიძის ნაშრომს „მცხეთა I“, რომელიც მიძღვნილია არმაზის ხევის დიდი არქეოლოგიური აღმოჩენებისადმი და სადაც მიკროსკოპიული სიზუსტით არის აღწერილი და ანალიზი აქვს გაკეთებული ქართული კულტურის ამ უძველეს და უბრწყინვალეს ძეგლებს.

მოდინახეზე, მცხეთაში და ურბნისს ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნივთები ზოგიერთ შემთხვევაში ორი წვეთი წყალივით ჰგავან ერთმანეთს. ასეთი დამთხვევები მაინც და მაინც იმაზე კი არ უნდა მიუთითებდეს, რომ ნივთები ერთი სახელოსნოდან არის გამოსული და ერთი ოსტატის ნახელავია. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსებობდა ოქრომჭედლობის სკოლა-სახელოსნოები, რომელთა მსატვრული ნაწარმი ექვემდებარებოდა ერთ გარკვეულ სტილს. აკადემიკოსები შ. ამირანაშვილი, ბ. კუფტინი და გ. ჩუბინაშვილი ერთხმად აღიარებენ, რომ გვიანდელი ქართული ოქრომჭედლობა სათავეებს იღებს მეორე ათასწლეულის სიღრმეში და თრიალეთის საუფლო ნაწარმის ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს. თრიალეთური კულტურა ამთავითვე იყო მიჩნეული ქართველი ტომების შემოქმედების ნაყოფად. სულ ახლახან გამოსული ნაშრომში კი პროფ. ოთ. ჯაფარიძემ ენათმეცნიერების და არქეოლოგიის უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით ეს აზრი კიდევ უფრო დაუსაბუთა ისტორიულ ჭეშმარიტებას და თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ შემქმნელებად ქართულ-ზანური მოდგმის ტომები მიიჩნია.

ამრიგად, გვიანანტიკური ხანის ქართულ ოქრომჭედლობას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ამ დროის სხვა ქვეყნების საუფლო ნაწარმისაგან, ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული და ამდენად ორიგინალურ და დახვეწილ ხელოვნებას წარმოადგენს.

მოდინახის ძეგლები ამდიდრებენ ჩვენს ეროვნულ კულტურულ ხანის ქართულ ხელოვნებაზე. აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი იმითაც არის საინტერესო, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია ანალოგიების მოძებნა ირანანტიკური ხანის საუფლო ნაწარმთან და ამასთან ისინი დამაკავშირებელ რგოლებს წარმოადგენენ ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ათასწლოვან ჯაჭვში.

მოდინახეს კომპლექსების დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიურ-პოლიტიკური სურათის წარმოსადგენად, სამხედრო ხელოვნებისა და ხელოსნობის შესასწავლად, ფეოდალური ურთიერთობისა და საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების მომენტების დასადგენად.

საქმე ის არის, რომ აქ თანადროულ სამარხებში გვხვდება დასაფლავების ორი წესი — მიცვალებულნი წვანან გულაღმა, გულხელგაკრეფილნი, თავით დასავლეთისაკენ (მამაკაცები): ან მიცვალებულთა უმრავლესობა მოკონჭული პოზაშია დაკრძალული მარცხენა გვერდზე (ქალები. ბავშვები). ეს სურათი იმაზე მეტყველებს, რომ მეფის ან ერისთავის სამსახურში მყოფი „აზნაურები“ ქართოლის უზენაესი ხელისუფლების ნებასურვიოლისამებრ მოქცეული იყვნენ ქრისტიანებად, ხოლო მათი სახლეულნი ისევ წარმართულ წესს მისდევნენ და ძველებურად იმარხებოდნენ. მოგვიანებით ქრისტიანულმა რეალიამ მთელი ხალხი და მთელი ქვეყანა მოიცვა. მის გავრცელებასთან ერთად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მონათმფლობელურის ნაცვლად წარმოიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა.

ეჭვს კარგშია, რომ საირხისა და მოდინახეს არქეოლოგიური ძეგლების შემდგომი კვლევა-ძიება ახალ ფურცელს გადაშლის საქართველოს ისტორიის მატიანეში.

ჯ. ნადირაძე.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის წინაფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე, ექსპედიციის ხელმძღვანელი.







სურათებზე: მოდინახეს ციხის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები: ზევით — ბრინჯაოს თეფშები; ქვევით, მარცხნიდან — ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. VI-IV სს.) ოქროს საყურე; შუბის პირი და ფოლადის ორლესული სატევარი; ოქროს ბეჭდები და საყურეები.

ფოტო ი. ᲒᲘᲚᲒᲔᲜᲓᲚᲝᲠᲨᲘᲡᲐ და Გ. ᲡᲝᲚᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ 30 ივლისს სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის გამოსვლების შედეგები სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-პოლონეთისა და სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების ჩატრბში, აგრეთვე საბჭოთა ტანმოვარჯიშეების მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატებში. აღინიშნა, რომ ამ პასუხსაგებ შეხვედრებში ზოგიერთ საბჭოთა მძლეოსანს აკლდა საბრძოლო ოვისებები. საზღვარგარეთ გამოსვლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ხარკოველი სპორტსმენი გ. ბლიზნეცოვი (ბოკოთ ხტომა) გამოყვანილია ნაკრების შემადგენლობიდან. თავის გადაწყვეტილებაში კოლეგიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი მსოფლიო პირველობისა და ოლიმპიური ასპარეზობის თვალსაზრისით შეშფოთებას იწვევს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ტანმოვარჯიშეთა ოსტატობის ნელი ზრდა.

კოლეგიამ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის პოზიციას, რომელმაც დაგმო ყინულზე ჰოკეის საერთაშორისო ლიგის კონგრესის ამასწინანდელი გადაწყვეტილება, რომ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში დაუშვან პროფესიონალები და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება.

დამტკიცებულია ხამკერდე ნიშნის „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ დებულება ამ ხამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან ფიზკულტურის მუშაკები, მასწავლებლები, მწვრთნელები და ინსტრუქტორები, კომკავშირის, პროფკავშირების მუშაკები, მეცნიერების, ფიზიკური კულტურისა და მედიცინის მოღვაწეები, სპორტსმენები და ფიზკულტურელები — ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. (საკდესი).

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ...

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ მიმდინარე სპორტული სეზონის გრანდიოზული ასპარეზობის — მეცხრე პროფკავშირული სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დღე.

სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ნ. რიაშენცევმა განაცხადა, რომ პროფკავშირთა მეცხრე სპარტაკიადის დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 7.000 სპორტსმენი. შეჯიბრებას მოემსახურება 2.500 მსაჯი. ფინალური ასპარეზობები აგვისტოს პირველი რიცხვებიდან იწყება. 2 აგვისტოს პაექრობა ექნებათ ხუთი სახეობის წარმომადგენლებს, ერთი კვირის შემდეგ კი სპარტაკიადა ფართო პროგრამით გაიშლება, შეჯიბრები ერთდროულად მოეწყობა 11 ქალაქში.

ერთ-ერთი ასეთი ქალაქი იქნება თბილისი, სადაც სპორტული დავა ექნებათ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს.

პროფკავშირთა მეცხრე სპარტაკიადა, რომელიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, მოსკოვში საზეიმოდ 9 აგვისტოს გაიხსნება.

ᲝᲠᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲛᲐᲢᲩᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მოსკოვი) — **„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“** (თბილისი) **4:1 (2:0).** მოსკოვი. 31 ივლისი. **„დინამოს“** სტადიონი. მსაჯი — **ხ. ᲡᲢᲠᲔᲜᲪᲘᲜᲘ** (რიგა).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მოსკოვი) — **ᲘᲐᲨᲘᲜᲘ, ᲨᲢᲐᲞᲝᲕᲘ, ᲠᲘᲐᲒᲝᲕᲘ, ᲨᲘᲪᲝᲕ